საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/6 " 7 " მარტი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წლის 16 თებერვლის №06-1325 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე არსებული 3 ელექტრომოწყობილობა/კონდენციონერის (AIRFEL/AS12-3002S; BEKO/18; MIDIA/Mse12hr), რკინის ღობისა და ნოუთბუქის (HP G7) გადაცემა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან მოითხოვა თანხმობის მიცემა აღნიშნული მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი